

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის

ბრძანება №55

2011 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე

„პატიმრობის კოდექსის 17¹ მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად,

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 20.01.2016წ.

მუხლი 1. დამტკიცდეს მსჯავრდებულ თან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხ. კალმახელიძე

მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) ადმინისტრაციის მეშვეობით უზრუნველყოფს ვიდეოპაემნის უფლებით მოსარგებლე მსჯავრდებულებისათვის შესაბამისი საკომუნიკაციო და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი პუნქტების მოწყობას დაწესებულებაში.

[1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) მეშვეობით უზრუნველყოფს ვიდეოპაემნის უფლებით მოსარგებლე მსჯავრდებულებისათვის შესაბამისი საკომუნიკაციო და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი პუნქტების მოწყობას დაწესებულებაში. (ამოქმედდეს 2017 წლის 1 სექტემბრიდან)].

2. მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის მსურველი პირების რეგისტრაციას, შესაბამისი გრაფიკის შედგენას, განსაზღვრული დაწესებულებების შესაბამის ინფორმირებას, ვიდეოპაემნის გამართვის პროცესის კოორდინაციასა და მსჯავრდებულ თან ვიდეოპაემნის მსურველ პირთა მიღება-დაკავშირებას უზრუნველყოფს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - პრობაციის ეროვნული სააგენტო) მისი ტერიტორიული ორგანოების - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების (შემდგომში - პრობაციის ბიურო) მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო რესურსების გამოყენებით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 აპრილის ბრძანება №58 - ვებგვერდი, 23.04.2014 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 20.01.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №69 - ვებგვერდი, 09.08.2017 წ.

მუხლი 2. ვიდეოპაემნის ხანგრძლივობა

[**მუხლი 2. ვიდეოპაემნით სარგებლობა და მისი ხანგრძლივობა (ამოქმედდეს 2017 წლის 1 სექტემბრიდან)**]

1. მსჯავრდებულთან, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული და პატიმრობის კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებულებისა, ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია ათი კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. მსჯავრდებულებს წახალისების ფორმით შეიძლება მიეცეთ დამატებითი ვიდეოპაემანი.

1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვიდეოპაემნის რაოდენობა არ ვრცელდება ამ მუხლის 1² და 1³ პუნქტებზე.

1². ქალ მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია 10 კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში დამატებით ერთხელ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე;

1³. არასრულწლოვან მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია 1 თვის განმავლობაში, არაუმეტეს ოთხჯერ, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში დამატებით ორჯერ, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

[1⁴. ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება მსჯავრდებულს ეზღუდება დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის ან პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების



2. მსჯავრდებულთან ერთჯერადი ვიდეოპაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს.

2¹. (ამოღებულია - 08.06.2016, №74).

3. ვიდეოპაემანი შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს:

- ა) მსჯავრდებულის სურვილის საფუძველზე;
- ბ) უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

4. (ამოღებულია - 08.06.2016, №74).

5. (ამოღებულია - 08.06.2016, №74).

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 12 მარტის ბრძანება №36 - ვებგვერდი, 15.03.2012 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №125 - ვებგვერდი, 17.08.2012 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 8 აპრილის ბრძანება №29 - ვებგვერდი, 08.04.2015 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 20.01.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 8 ივნისის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 09.06.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №69 - ვებგვერდი, 09.08.2017 წ.

მუხლი 3. ვიდეოპაემნის ორგანიზება

1. მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის მსურველი პირის რეგისტრაცია წარმოებს ამ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე დანართი №1-ის შესაბამისად. ამასთან, მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის მსურველი პირის რეგისტრაცია შეიძლება ასევე განხორციელდეს ელექტრონული სახით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ფორმის მეშვეობით.

2. მსჯავრდებულ თან ვიდეოპაემნის მსურველი პირის განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ამ პირის და მსჯავრდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემებს (სახელი, გვარი, მამის სახელი და განმცხადებლის პირადი ნომერი);

ბ) განმცხადებლის საკონტაქტო მონაცემებს;

გ) მითითებას იმ დაწესებულების შესახებ, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებული;

დ) მითითებას ამ პირის კავშირის შესახებ მსჯავრდებულთან;

ე) მითითებას ვიდეოპაემნის გამართვის განხორციელების სასურველი თარიღის შესახებ;

ე¹) (ამოღებულია - 08.06.2016, №74);

ვ) განმცხადებლის ხელმოწერა და თარიღი;

ზ) მსჯავრდებულის თანხმობა/უარი და მისი ხელმოწერა (აისახება დაწესებულებაში გაგზავნილ განცხადების ასლზე).

3. განცხადება პრობაციის ბიუროს უნდა წარედგინოს ვიდეოპაემნის გამართვამდე არანაკლებ 7 სამუშაო დღით ადრე.

4. (ამოღებულია - 15.08.12 №125).

5. განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, პრობაციის ბიურო ვიდეოპაემნის გამართვის თაობაზე ატყობინებს შესაბამის დაწესებულებას და უგზავნის დანართ №1-ით გათვალისწინებულ განცხადების ასლს ან ელექტრონული სახით შევსებული ფორმის ასლს.

6. დაწესებულება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 4 სამუშაო დღის ვადაში, ვიდეოპაემნის გამართვაზე მსჯავრდებულის პასუხს აცნობებს პრობაციის ბიუროს.

7. პრობაციის ბიურო ვიდეოპაემნის გამართვას უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პასუხის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

7¹. „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 30 ივნისის №61 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის „ს“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ დაწესებულება გადასულია განსაკუთრებულ რეჟიმზე, მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის გამართვის თარიღსა და დროს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო, რასაც განმცხადებელს ატყობინებს წერილობით ან სხვა ნებისმიერი სახის საკომუნიკაციო საშუალებით.

8. მსჯავრდებულ თან ვიდეოპაემანი დაიშვება წინასწარ განსაზღვრულ დროს და მხოლოდ მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში, რასაც მსჯავრდებული ადასტურებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების ასლზე ხელმოწერით.

9. მსჯავრდებულთან ვიდეოპაემანზე ერთდროულად შესაძლებელია დაიშვას არა უმეტეს 3 პირი. ვიდეოპაემანზე ერთდროულად დასაშვებ პირთა დადგენილი ლიმიტი არ ვრცელდება 10 წლამდე ბავშვებზე.

10. (ამოღებულია - 23.09.11 №167).

11. მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის გამართვისას არასრულწლოვანს სავალდებულოა თან ახლდეს სრულწლოვანი პირი.

12. ვიდეოპაემნის მსურველი პირი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, პრობაციის ბიუროში საამისოდ გამოყოფილი ადგილიდან ამყარებს პირდაპირ, ვიზუალურ და ხმოვან კავშირს მსჯავრდებულთან.



13. (ამოღებულია - 08.06.2016, №74).

[14. გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პენიტენციური დაწესებულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ახორციელებენ მსჯავრდებულთან ვიდეოკამერის ვიზუალურ ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას, მაგრამ მოსმენის გარეშე. ამის თაობაზე მსჯავრდებულის და მასთან ვიდეოკამერის მსურველი პირის წინასწარ გაფრთხილება სავალდებულოა. (ამოქმედდეს 2017 წლის 1 სექტემბრიდან)]

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №167 - ვებგვერდი, 28.09.2011 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №125 - ვებგვერდი, 17.08.2012 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 აპრილის ბრძანება №58 - ვებგვერდი, 23.04.2014 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 20.01.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 8 ივნისის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 09.06.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება №128 - ვებგვერდი, 10.10.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №69 - ვებგვერდი, 09.08.2017 წ.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

1. მსჯავრდებულთან ვიდეოკამერის ორგანიზება ხორციელდება შემდეგ დაწესებულებებში:

ა) №11 არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება;

ბ) №15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.

2. დაწესებულებებში, გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დაწესებულებებისა, ვიდეოკამერის ორგანიზება განხორციელდეს ეტაპობრივად.

დანართი №1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსი)

1. განმცხადებლის მონაცემები: _____

(სახელი, გვარი, მამის სახელი)

პირადი № _____

(ტელეფონის ნომერი, მისამართი რეგისტრაციის მიხედვით/ფაქტობრივი)

(მსჯავრდებულის სახელი, გვარი, მამის სახელი)

(დაწესებულება, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებული)

(ვიდეოკამერის განხორციელების თარიღი: რიცხვი, თვე, წელი)

(განმცხადებლის კავშირი მსჯავრდებულთან)

2. ვიდეოკამერაში მონაწილე პირის მონაცემები: _____

(სახელი, გვარი, მამის სახელი)



პირადი № _____

(ვიდეოპაემანში მონაწილე პირის კავშირი მსჯავრდებულთან)

3. ვიდეოპაემანში მონაწილე პირის მონაცემები: _____

(სახელი, გვარი, მამის სახელი)

პირადი № _____

(ვიდეოპაემანში მონაწილე პირის კავშირი მსჯავრდებულთან)

(განმცხადებლის ხელმოწერა და თარიღი) (მსჯავრდებულის თანხმობა/უარი და ხელმოწერა)

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №167 - ვებგვერდი, 28.09.2011 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №125 - ვებგვერდი, 17.08.2012 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 8 ივნისის ბრძანება №74 - ვებგვერდი, 09.06.2016წ.

